



ოსტროს ქალღმერთის „ხელის გაქიხლება“ მზად კრიკენ

მეოთხედიწინალები ბასვლა
არ უნდა გაბვიჭირდეს
ყველაზე მწვავე ბრძოლაში
მოსალოდნელია III ჯგუფში



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შერთდით!



საპროლეტარული სსრ საორბულ საჯაროდაპათა და ორბანიზაციების ქაპურიხსა
და პროჯაპურიტა საპროლეტარულ რასაუალიკური საბაოს ორბანო
ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской
ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ბაგოვანი 22-ე წალი.

№ 5 (2982)

შაბათი, 8 იანვარი, 1966 წ.

ფასი 8 კაპ.

16 წინაღობა — მწკრივში

6 იანვარი ამ დღეს უღიღესი ინტერესით მოელოდნენ საერთაშორისო საფეხბურთო წრეები: ლონდონში, „როიალ გარდენ ოტელის“ პოლში მოხდა ფეხბურთში მსოფლიოს VIII ჩემპიონატის გათამაშების ფინალისტთა კენჭისყრა.



16 უძლიერების რაციონალური განაწილება 4 ჯგუფად მუდმივ რთულ პრობლემას წარმოადგენს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის საორგანიზაციო კომიტეტისთვის. კენჭისყრა უნდა ჩატარდეს ისე, რომ შემთხვევითობის ელემენტი დაყვანილ იქნას მინიმუმამდე და სუსტებს არ მიეცეთ საშუალება ძლიერთა ურთიერთუდილობის ხარჯზე მიაღწიონ მწვერვალს. საორგანიზაციო კომიტეტში შემოვიდა 15-ზე მეტი წინადადება, რომელთაგან ფიფა-მ მიიღო ინგლისელთა პროექტი.

ფინალის 16 მონაწილე კენჭისყრისთვის დაიყო 4 ჯგუფად. პირველ მათგანში მოხდნენ სამხრეთ ამერიკის ქვეყნები — ბრაზილია, არგენტინა, ურუგვაი, ჩილი; მეორეში — ინგლისი, უნგრეთი, სსრ კავშირი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა; მესამეში — ევროპის ლათინური ქვეყნების გუნდები: საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია და მეოთხეში — გუნდები, რომლებიც ფიფა-მ ფინალის ყველაზე სუსტ მონაწილეებად ცნო: ბულგარეთი, მექსიკა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა და შვეიცარია.

კენჭისყრამ ასეთი შედეგები გამოიღო:

- I ჯგუფში: ინგლისი, ურუგვაი, საფრანგეთი, მექსიკა;
- II ჯგუფში: არგენტინა, გერმ, ესპანეთი, შვეიცარია;
- III ჯგუფში: ბრაზილია, უნგრეთი, პორტუგალია, ბულგარეთი;
- IV ჯგუფში: ჩილი, სსრ კავშირი, იტალია, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა.

მაშ ასე: კენჭისყრა მოხდა, ჯგუფები ცნობილია და დადგა... პროგნოზების პერიოდი. უკვე მეორე დღეს მიმომხილველები გამოთქვამდნენ თავიანთ შეხედულებებს მომავალ გამარჯვებულთა შესახებ (როგორც ცნობილია, ჯგუფებში მატჩები ჩატარდება წრიული სისტემით, ხოლო 2-2 გამარჯვებული შექმნის მეოთხედფინალურ ეტაპს, საიდანაც ჩემპიონატი გაგრძელდება გამოთიშვითი სისტემით).

ჩვენი აზრით, ყველაზე რთული ჯგუფებია II და III, შედარებით იოლი — I და IV. სსრ კავშირის გუნდს არ უნდა გაუჭირდეს მეოთხედფინალში გასვლა.

სპეციალისტთა აზრით

როგორც კი მიტღს მსოფლიოს მოედო ცნობა ლონდონში ჩატარებულ კენჭისყრის შესახებ, ფეხბურთის გამოჩენილმა სპეციალისტებმა, ჩემპიონატში მონაწილე გუნდების მწვრთნელებმა არ დააყოვნეს თავიანთი აზრის გამოთქმა. ქვემოთ ვხედავთ საკდების ცნობას ამ საკითხზე.

როცა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს სტენლი როულს პკითხეს, თქვენი აზრით, რომელი გუნდია კენჭისყრის შედეგად ყველაზე „ბედნიერი“ და რომელი ყველაზე „უბედური“, მან უპასუხა — „ყველა“.

უფრო ვარკვეული აზრი გამოთქვა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა კაოზერმა: „თითოეულ ჯგუფში სულ ცოტა ორი ძალიან ძლიერი გუნდია. მაგრამ ყველაზე ძნელი მესამე და მეორე ჯგუფებია“.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, სსრ კავშირის წარმომადგენელმა ვ. გრანაკინმა თქვა: „წლისყრიდანვე ინგლისის მშობლიური ელემენტები ეხმარებიან, თუმცა საბჭოთა კავშირის გუნდიც ვერ დაეძღვრება კენჭისყრის შედეგებს.“

სანტიაგოში ჩილის გუნდის მწვრთნელმა ლუის ალაამოზა განაცხადა, მეოთხე ჯგუფში, უდავოდ, ყველაზე ძლიერი საბჭოთა კავშირისა და იტალიის ნაკრები გუნდები არიან. „მაგრამ, — დასძინა მან, — ჩილის გუნდიც იბრძოლებს, რომ მეოთხედფინალში გავიდეს“.

მილანის „ინტერნაციონალეს“ მწვრთნელმა ელენიო ერერამ განაცხადა, რომ იტალიის ნაკრები ნამდვილად გავა მეოთხედფინალში. ჩვენმა მწვრთნელმა ნ. მორაოზომა თქვა: მეოთხე ჯგუფის ფავორიტები არიან სსრ კავშირისა და იტალიის ნაკრები გუნდები. მაგრამ ჩვენი ამოცანა არა მარტო გაიმარჯვოთ, არამედ აუცილებლად პირველი ადგილი დაეიკეთოთ, ვინაიდან მეორე ადგილი თუ დაეიკავით, ჯერ ჯიღებ მეოთხედფინალში შეხვედებით ბრაზილიელს, რომლებიც ალბათ მესამე ჯგუფში გამარჯვებულნი გამოვლენ. „თეორიულად“ ჩველაზე მოსალოდნელია, რომ ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ინგლისი და ბრაზილია. მაგრამ, პრაქტიკულად, დასძინა მორაოზომ, ყველა გუნდს შეიძლება პკონდეს ფინალში თამაშის პრეტენზია.

წლისყრის შედეგით კმაყოფილია საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის კაპიტანი ვალერი ვორონინი. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ ჩვენი მეტოქენი იქნებიან „ძველი ხეობები“ — იტალიისა და ჩილის ნაკრები გუნდები, აგრეთვე ურუგვაი, ჩილი, ესპანეთი, პორტუგალია და მეოთხეში — გუნდები, რომლებიც ფიფა-მ ფინალის ყველაზე სუსტ მონაწილეებად ცნო: ბულგარეთი, მექსიკა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა და შვეიცარია.

და ჩილის ნაკრები გუნდები, აგრეთვე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი, რომელიც სპეციალისტებს სამომავლოდ არ მიაჩნიათ.

დანარჩენი „დინტერესებული“ გუნდების წარმომადგენლებმა ასეთი აზრი გამოთქვეს:

სილეიო პაეკო (ბრაზილია): შედეგით ფრიად კმაყოფილი ვართ. ალცერათი ოპონენტისა არ გვეშინია, მაგრამ თუ მათ ძლიერებაზე ვილაპარაკებთ, ვფიქრობ, რომ ამ ჯგუფში ყველაზე საშიში მტრია პორტუგალია.

ლიომ ბაროტი (უნგრეთი): ბელმა გვიმტყუნა. ჩვენი მტრები ბრაზილია და პორტუგალია იქნებიან. ყველაზე ძნელი ჯგუფში მოვხვდით. ყველაზე ადვილი ინგლისის მტრია.


პიტერ პონსი (მექსიკა): ვახსოვს როგორ დავამარცხე ინგლისმა 1961 წელს „უემბლის“ სტადიონზე ანგარიშით 8:0. მაგრამ ისიც ვახსოვს, რომ, როცა ინგლისის ნაკრები გუნდი მექსიკაში ჩამოვიდა, 2:1 მოუუგეთ. იმდღს არ გიკარგათ.

მელმუტ შენი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა): სასიამოვნოა, რომ ჩვენი ნაკრები გუნდი შუა ინგლისის სტადიონებზე ითამაშებს. მიყვარს ეს ადგილები და იქაური ფეხბურთის მოედნებიც კარგია. შეხვედრამდე არ მინდა ვილაპარაკო, თუ რა შანსი აქვს ამა თუ იმ გუნდს.

მანუელ და ლიუს ალფონსო (პორტუგალია): იმედი გვიქონდა, რომ ფინალამდე არ შეხვდებოდით ბრაზილიის ნაკრებ გუნდს. მაგრამ უიღბლო წლისყრამ სწორედ მათ შეგვხვედრა. ახლა, როცა იციით წლისყრის შედეგები, აფიქრობ, რომ ინგლისს ყველაზე მეტი შანსი აქვს გაიმარჯვოს ჩემპიონატში.

უოზე ვილალონვა (ესპანეთი): ჩვენს მეორე ჯგუფში ყველაზე სერიოზული კონკურენტები არიან შვეიცარია და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. არგენტინა უფრო ადვილი პარტნიორია, ვინაიდან მისი ფეხბურთის სტილი ჩვენსას ჰგავს.

გრეგორიო ტრიმარკო (არგენტინა): იმედი მაქვს, რომ ჩვენი გუნდი მეორე ადგილს მინც დაიკავებს თავის ჯგუფში.



I ჯგუფი

1. ინგლისი
2. ურუგვაი
3. საფრანგეთი
4. მექსიკა

II ჯგუფი

1. არგენტინა
2. გერმ
3. ესპანეთი
4. შვეიცარია

III ჯგუფი

1. ბრაზილია
2. უნგრეთი
3. პორტუგალია
4. ბულგარეთი

IV ჯგუფი

1. ჩილი
2. სსრ კავშირი
3. იტალია
4. კორეა

